

შპს "ბილდინგ მექანიკს ენდ ელექტრონიკს"

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	14
4. ძირითადი საშუალებები.....	15
5. მარაგები	16
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	16
7. ფული და ფულის ექვივალენტები	16
8. ამონაგები.....	17
9. რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება.....	17
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
11. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	18
12. პირობითი ვალდებულებები.....	18
13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	19
14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	20

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბილდინგ მექანიკს ენდ ელექტრონიკს“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი
დირექტორი -----
2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

მარიკო იაკობიშვილი
მთავარი ბუღალტერი -----
2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარიში)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	4	102 702	55 906	49 938
არამატერიალური აქტივები		99	231	362
სულ გრძელვადიანი აქტივები		102 801	56 137	50 300
მიმდინარე აქტივები:				
მარაგები	5	171 414	112 702	71 869
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3 044 522	4 123 155	2 034 310
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		116	283	946
წინასწარ გადახდილი გადასახადები		25 311	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6	720 229	113 290	315 912
ფული და ფულის ექვივალენტები	7	219 123	109 538	220 995
სულ მიმდინარე აქტივები		4 180 715	4 458 968	2 644 031
სულ აქტივები		4 283 516	4 515 105	2 694 331
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი:				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		230 500	202 643	335 741
სულ კაპიტალი		230 600	202 743	335 841
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		24 789	412 732	57 093
მიღებული ავანსები		3 996 863	3 870 519	2 211 100
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		31 264	29 111	90 297
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 052 916	4 312 362	2 358 490
სულ ვალდებულებები		4 052 916	4 312 362	2 358 490
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 283 516	4 515 105	2 694 331

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

მარიკო იაკობიშვილი

დირექტორი -----

მთავარი ბუღალტერი -----

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ამონაგები	8	1 842 224	2 771 998
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(1 283 740)	(2 353 517)
საერთო მოგება		558 484	418 481
სხვა შემოსავლები		25 823	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(502 040)	(414 225)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	11	(46 072)	(41 580)
სხვა ხარჯები		(1 388)	-
საოპერაციო მოგება		34 807	37 324
ფინანსური შემოსავალი			8 927
ფინანსური ხარჯი			(30 576)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(6 950)	(21 084)
მოგება დაბეგვრამდე		27 857	(80 057)
მოგების გადასახადი		-	(409)
წმინდა მოგება		27 857	(80 466)
სხვა სრული შემოსავალი: გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		27 857	(80 466)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

მარიკო იაკობიშვილი

დირექტორი -----

მთავარი ბუღალტერი -----

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2017		100	335 741	335 841
სულ წლის სრული შემოსავალი			(80 466)	(80 466)
გადახდილი დივიდენდები			(52 632)	(52 632)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018		100	202 643	202 743
სულ წლის სრული შემოსავალი			27 857	27 857
გადახდილი დივიდენდები			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019		100	230 500	230 600

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

მარიკო იაკობიშვილი

დირექტორი -----

მთავარი ბუღალტერი -----

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბილდინგ მექანიკს ენდ ელექტრონიკს“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

დირექტორი

2020 წლის 30 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი



მარიკო იაკობიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 30 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)


დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	4	102 702	55 906	49 938
არამატერიალური აქტივები		99	231	362
სულ გრძელვადიანი აქტივები		102 801	56 137	50 300
მიმდინარე აქტივები:				
მარაგები	5	171 414	112 702	71 869
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3 044 522	4 123 155	2 034 310
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		116	283	946
წინასწარ გადახდილი გადასახადები		25 311	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6	720 229	113 290	315 912
ფული და ფულის ექვივალენტები	7	219 123	109 538	220 995
სულ მიმდინარე აქტივები		4 180 715	4 458 968	2 644 031
სულ აქტივები		4 283 516	4 515 105	2 694 331
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი:				
საწესდებო კაპიტალი		100	100	100
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		230 500	202 643	335 741
სულ კაპიტალი		230 600	202 743	335 841
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		24 789	412 732	57 093
მიღებული ავანსები		3 996 863	3 870 519	2 211 100
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		31 264	29 111	90 297
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 052 916	4 312 362	2 358 490
სულ ვალდებულებები		4 052 916	4 312 362	2 358 490
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4 283 516	4 515 105	2 694 331

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

დირექტორი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი



მარიკო იაკობიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

მ. იაკობიშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)


დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ამონაგები	8	1 842 224	2 771 998
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(1 283 740)	(2 353 517)
საერთო მოგება		558 484	418 481
სხვა შემოსავლები		25 823	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(502 040)	(414 225)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	11	(46 072)	(41 580)
სხვა ხარჯები		(1 388)	-
საოპერაციო მოგება		34 807	37 324
ფინანსური შემოსავალი			8 927
ფინანსური ხარჯი			(30 576)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(6 950)	(21 084)
მოგება დაბეგვრამდე		27 857	(80 057)
მოგების გადასახადი		-	(409)
წმინდა მოგება		27 857	(80 466)
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		27 857	(80 466)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

დირექტორი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი



მარიკო იაკობიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 30 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2017		100	335 741	335 841
სულ წლის სრული შემოსავალი			(80 466)	(80 466)
გადახდილი დივიდენდები			(52 632)	(52 632)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018		100	202 643	202 743
სულ წლის სრული შემოსავალი			27 857	27 857
გადახდილი დივიდენდები			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2019		100	230 500	230 600

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 30 ოქტომბერს.

აკიფ ასლანოვი

დირექტორი

2020 წლის 30 ოქტომბერი
 საქართველო, თბილისი



მარიკო იაკობიშვილი

მთავარი ბუღალტერი

2020 წლის 30 ოქტომბერი
 საქართველო, თბილისი

მ. იაკობიშვილი

6-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბილდინგ მექანიკს ენდ ელექტრონიკს“ დაფუძნებულია 2009 წლის 26 იანვარს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204564202. კომპანიის 40% წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი ჰალილ კაია (თურქეთი) (პ/ნ 1-839539), 40% წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი თარხან იუსიფ ოღლუ შუქუროვი (აზერბაიჯანი) (პ/ნ P1264304) და 20% წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი აკიფ ასლანოვი (პ/ნ 28001005187).

შპს „ბილდინგ მექანიკს ენდ ელექტრონიკს“-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესარიონ ბელინსკის ქ., №28. კომპანია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრირებულ საქმიანობის სახეებს წარმოადგენს ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები, სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი აკიფ ასლანოვი (პ/ნ 28001005187).

კომპანიაში 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 15 თანამშრომელი, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 17 თანამშრომელი. წლის განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 17 თანამშრომელს.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, კომპანიამ მოამზადა საწყისი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, მსს ფასს-ის საფუძველზე, 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“ მოთხოვნების შესაბამისად და გამოიყენა ყველა ის მიდგომა და პოლიტიკა, რომლებიც მოსალოდნელი იყო, რომ ძალაში იქნებოდა კომპანიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.2095	3.0701	3.1040
<i>წლის საშუალო გაცვლითი კურსი</i>	2019	2018	
1 USD/GEL	2.8192	2.5345	
1 EUR/GEL	3.1553	2.9913	

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად

საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5-8
ავეჯი და ინვენტარი	8-10
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

2.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან, როგორიცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორიცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება ხორციელდება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც იქნა გაწეული.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

2.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მიწოდებული საქონლის ღირებულებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

2.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას. კომპანიის გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს საქონლის და მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. პარტნიორის გადაწყვეტილებით კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გაცემა. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

2.9 სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებთან არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.

2.11 მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით

მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა დ აგადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნოთვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და ასაბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზევით.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.12 დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2.13 ამონაგები

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაწუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული და მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადიას განსაზღვრავს პროპორციულობის მეთოდით, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა. პროპორციულობის მეთოდი გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების

შეფასებულ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები). დამკვეთებისგან მიღებული ეტაპობრივად გადახდილი თანხები ან ავანსები, ხშირ შემთხვევაში, არ ასახავს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.14 მარკეტინგული და საკომისიო ხარჯები

მარკეტინგული და საკომისიო ხარჯები წარმოადგენს კომპანიის კომერციულ დანახარჯებს და მათი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

2.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2.16 იჯარა

საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.17 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

2.18 ჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური გარემო შექმნილი ვითარების გამო, გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

საეჭვო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად

ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31.12.2017	37 120	2 860	9 184	774	49 938
შესყიდვები	18 413	1 441			19 854
ჩამოწერა/გაყიდვა	(4 428)				(4 428)
ცვეთის ხარჯი	(7 671)	(533)	(1 020)	(234)	(9 458)
გასული ძირ. საშ. ცვეთა					
ნაშთი 31.12.2018	43 434	3 768	8 164	540	55 906
შესყიდვები	61 544	237			61 781
ჩამოწერა/გაყიდვა	(64)				(64)
ცვეთის ხარჯი	(13 091)	(575)	(1 020)	(234)	(14 921)
გასული ძირ. საშ. ცვეთა					
ნაშთი 31.12.2019	91 823	3 430	7 144	306	102 702

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის იპოთეკით დატვირთული.

5. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	149 220	94 439	53 539
ნედლეული და მასალები	22 194	18 263	18 330
სულ მარაგები:	171 414	112 702	71 869

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო მოთხოვნები	143 724	234 355	178 147
ვადადამდგარი მოთხოვნები გრძელვადიანი კონტრაქტებით	2 900 798	3 888 800	1 856 163
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	720 229	113 290	315 912
სულ მოთხოვნები:	3 764 751	4 236 445	2 350 222

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული ლარებში	630	1 950	1 370
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	154 783	70 215	106 638
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	63 710	37 373	112 987
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	219 123	109 538	220 995

8. ამონაგები

2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის შემოსავლები შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	1 694 789	2 499 815
შემოსავალი მომსახურებიდან	147 435	272 183
სულ ამონაგები:	1 842 224	2 771 998

9. რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის და მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები 2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018
პირდაპირი მასალები	933 796	1 967 102
ტრანსპორტირების ხარჯი	88 280	203 101
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	34 033	92 541
მონტაჟის ხარჯი	160 197	58 543
შრომითი ანაზღაურება	35 982	23 691
დამხმარე მასალები	4 774	6 928
სხვა	26 678	1 611
სულ თვითღირებულება:	1 283 740	2 353 517

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018
შრომითი ანაზღაურება	383 201	314 552
იჯარის ხარჯი	38 694	32 211
ცვეთის ხარჯი	15 053	9 589
საგადასახადო ხარჯი	5 832	925
საკონსულტაციო ხარჯი	12 813	6098
რემონტის ხარჯი	627	1 287
საბანკო მომსახურების ხარჯი	10 676	7 922
კომუნალური გადასახადები	3 306	1 539
კომუნიკაციის ხარჯი	2 634	2 892
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	29 204	37 210
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:	502 040	414 225

11. . მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრით და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2019	31.12.2018
მარკეტინგული და საკომისიო ხარჯები	46 072	41 580
სულ მარკეტინგის ხარჯები:	46 072	41 580

12. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალეზადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება დაუკავშირებელ პირებთან. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

შპს „ბილდინგ მექანიკს ენდ ელექტრონიკს“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3 477	

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

დასახელება	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები	მთავარი მენეჯმენტი
შემოსავალი რეალიზაციიდან		0	
მიღებული მომსახურება		101 721	
მიღებული საკონელი		8 061	
ხელფასი და შესაბამისი ხარჯები	-	-	61 000

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

დასახელება	მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	მთავარი მენეჯმენტი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		0	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8 543	

14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს, რაც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს, კერძოდ:

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამასთან, ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე, ჯერ

კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.